# ივერია

**ბაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ. დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



**ელენე ფარსადანის ასული ნაცვლიშვილისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მობრძანდნენ ახლად მიცვალებულის მისის ქმრის, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის **სოლომონ თადეოზის ძის ნაცვლიშვილის** ორმოცის დღის თავის წირვაზედ. წირვა გარდახდილ იქმნება ხუთშაბათს, ამ თთვის თხუთმეტს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიაშია დილის 9 საათზედ.

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან.

საზოგადოების მმართველობა აუწყებს ვენახებისა და ხეხილიანის ბაღების პატრონთ ღ აგრეთვე იმათ, ვისაც მოჰყავს თუთუნი, სვია, ბამბა და სხვ., რომ მსურველთ ყოველ ამის დასაზღვევად სეტყვისაგან შეუძლიანთ მიჰმართონ საზოგადოების სანდო კაცს დ. ქ. თუთაევს.

(აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი).

გამგებელი გ. ა. ტარგონსკი
(5—5)


## ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

11 ოქტომბერს დილით მიიყვანეს მიხეილის სამკურნალოში ხოლერიანი ავადმყოფი გიორგი გეგეშვილი (დესიმონის მოედანი, სახლი რემიზოვისა), რომელიც მეორე დღეს, 12 ოქტომბერს გარდაიცვალა.

## ახალი ამბავი

*** თიანეთის მაზრაში 3 ოქტომბერს ავად გახდა ხოლერით ალექსი ლილოიძე და გარდაიცვალა.

ახალციხის მაზრის უფროსი იუწყება: 9 ოქტომბერს ახალციხეში ავად გახდა ხოლერით ერთი დედაკაცი.

29 სექტემბერს ყარსში ავად იყო ხოლერით 8, კიდევ ავად გახდა 6, მორჩა 1, გარდაიცვალა 2; ოლქში ავად აყო 78, კიდევ ავად გახდა 73, მორჩა 41, გარდაიცვალა 32, დარჩა 78.

განჯას 2—4 ოქტომბერს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2, მაზრაში იმავე დროს ავად იყო 14, მორჩა 9, გარდაიცვალა 13, დარჩა 8.

ქუთაისში 25—28 სექტ. ხოლერით ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, ავად არის 3.

ზაქათალის ოლქში 28 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა 11, მორჩა 9, გარდაიცვალა 9, დარჩა 1.

*** გუშინ-წინ, კვირას, 11 ოქტომბერს, კრება ჰქონდა დრამატიულს საზოგადოებას. დაესწრო 20-მდე წევრი და აგრეთვე გარეშენიც საკმაოდ იყვნენ. კრების დაწყებისას თავმჯდომარემ საზოგადოებისამ თ. გ. თუმანიშვილმა გამოაცხადა, რომ დღეს შესრულდაო ორი წელიწადი ამა საზოგადოების თავმჯდომარეს ამხანაგის თ. დავით გიორგის ძის ერისთავის გარდაცვალების შემდეგაო, ღ საზოგადოებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. შემდეგ კრებამ დაამტკიცა მმართველობის მოხსენება სარევიზიო კომისიის შესახებ და ამოირჩია ახალ სარევიზიო კომისიის წევრებად ნ. ი. ავალიშვილი, პ. რ. ყიფიანი და ი. გუნცაძე. შემდეგ საზოგადოებამ მოისმინა თხოვნა ბ-ნის კ. ცხომელიძისა. ბ-ნი ცხომელიძე სთხოვდა კრებას, რომ, რაკი წარსულს დრამატიულს კრებაზედ საზოგადოებამ დაადგინა, ხელი შეუწყოს საოპერო და სამუსიკო წარმოდგენების გამართვას და აწინდელის დასის პროგრამაში-კი არაფერია ამის შესახებ ნათქვამი, ამიტომ სასურველია, რომ, თუ დრამატიული საზოგადოება არ იკისრებს, ქ-ნს საფაროვისას გადასცეს ეს საქმე და ნება მისცეს ქართულის სამუსიკო წარმოდგენების გამართვისა და არტისტებითაც დახმარება აღმოუჩინოსო. საზოგადოებამ სჯა-ბაასს შემდეგ გამოარკვია, რომ საფაროვისას ოთხის ქართულის წარმოდგენის გამართვის ნება აღებული აქვს და თუ ჰსურს, შეუძლიან ამ ოთხს საღამოს სამუსიკო წარმოდგენა გაჰმართოსო. არტისტების დათმობის შესახებ-კი უარი განაცხადა საზოგადოებამ.

*** კვირასვე, 11 ოქტომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ახალი პიესა, გუნიას მიერ გადმოკეთებული სამ-მოქმედებიანი კომედია: „ზოგი ჭირი მარგებელია“ და „ხორველობა“, ვოდევილი. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო.

*** შაბათს, 10 ოქტომბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზით ყარაიაზიდგან მობრძანდნენ ტფილისს მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი, დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოზის ძე, გიორგი, სერგეი და ალექსანდრე მიხეილის ძენი და კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. ს. ა. შერემეტიევი ამალითურთ. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ტფილისის სადგურზედ ნახევარს საათს დაჰყო და შემდეგ წაბრძანდა პირდაპირ ბორჯომს.

ტფილისის სადგური დროშებით იყო მორთული და უაგვისტოესს სახლობას მიეგებნენ გენ.-ად. დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკი, ტფილისის გუბერნატორი თავ. შერვაშიძე, გუბერნიის მარშალი ლ. ა. მაღალაშვილი, ქალაქის მოურავი თ. ნ. ვ. არგუთინსკი-დოლგორუკი, გ. მ. იანოვსკი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ა. ფრიდე, ტფილისის პოლიცმეისტერი მასტიცკი და სხვანი.

*** ამ წელს ტფილისის მიწისმზომელთა სასწავლებელში სულ ოცმა კაცმა დაამთავრა სწავლა მეორე ხარისხით. მათ შორის ათი კაცი ქართველი და სომეხია, სახელდობრ: სარქის აბოვიანცი, ისაია ალასოვი, ილია ასლანიანი, ნიკოლ. გოგილაძე, აბილ-გირეი ჟანტიაშვილი (ოსია), სამსონ კლიმიაშვილი, იოსებ ლორის-მელიქოვი, ნიკოლოოზ ნასიძე, თავ. მიხეილ რუსიშვილი და აბგარ თეიმურაზოვი. სწავლა დამთავრებულთაგან შვიდი ყმაწვილი კაცი ტფილისის სამოსამართლო პალატის გამმიჯვნელს საკრებულოს სამსახურში შევიდა, სამნი—სამხედრო სატოპოგრაფიო უმთავრესს სასწავლებელში წავიდნენ პეტერბურგს, დანარჩენნი-კი ჯერ-ჯერობით არსად წასულან. ამავე სასწავლებელში ამ წელს სულ 56 კაცმა შეიტანა თხოვნა სწავლის სურვილისა, 26 დაიჭირა ეგზამენი და მიღებულ იქმნენ. ამ ჟამად სასწავლებელში სულ 69 მოსწავლეა.

*** ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგარის საკრებულოში ჯარში გასაწვევათ კენჭს უყრიან ნოემბრის პირველში და ამ ჟამად საკრებულო იმათ სიის შედგენა-შესწორებაშია, რომელნიც დაბადებულან 1871 წელს და ამ წელს ჯარში უნდა იქმნენ გახმობილნი.

*** საკომერციო სკოლის დამაარსებელ კომისიას წარსულ კვირას კრება ჰქონდა, მე-2 და მე-3 გიმნაზიის დირექტორების თანადასწრებით. კრებამ შეიმუშავა სასწავლებლის წესდება და ამ მოკლე ხანში უნდა წარუდგინოს ბ-ნ კავკასიის საერო განათლების მზრუნველს.

*** ტფილისის საკომერციო ბანკის საბჭოს განზრახვა აქვს, ამიერ-კავკასიის საშუალო სავაჭრო ადგილებში დააარსოს საქონლის საწყობები. ამისათვის უნდა იყიდონ ქალაქებში სახლები და მიწებიც, სადაც ამ გვარი საწყობები უნდათ გამართონ. თუ ეს სურვილი მართლა აასრულა საკომერციო ბანკმა, ამითი დიდს საშუალებას აღმოუჩენს ჩვენს მოვაჭრეთ.

*** საჩხერეს ახლო-მახლო სოფლებში, უფრო ბითხვისში და წარსში, ეს ერთი წელიწადია, რაც ყვავილით ავადმყოფობა მძვინვარებს და ეხლა უფრო და უფრო მატულობს.

*** სოფ. პერევისა: პერევისში სამი-ოთხი წელიწადია თითქმის ყოველ წლივ იმართება ხან თეატრი და ხან ლატარია-ალეგრი საქველ-მოქმედო აზრით. წელსაც ამას წინად იყო გამართული ლატარია-ალეგრი ამაშუყელის ქალის მეთაურობით, მაგრამ საქველმოქმედო აზრიც არის და საქველმოქმედოც. ამიტომ იმედია, რაც უკეთესია, იმას მოახმარებენ იმ ფულს, რომელიც წელს ლატარია-ალეგრიდგან შემოვიდა.

*** ქალაქ გორის მოურავის გენერალ მუსხელიშვილის დედას, რომელიც ამ დღეებში გარდაცვლილა, 600 მ. უანდერძნია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ («Н. О.»).

*** 11 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, რკინის გზის მატარებლით შენობათა კომისიის წევრნი და ქალაქის ხუროთ-მოძღვარი ტ. ა. ენფიანჯიანცი გაემგზავრნენ ავჭალას. ამ კომისიამ უნდა დაათვალიეროს წყლის დასაწმენდი მაშინები. ავჭალის მილიდგან ამ ჟამად 85,000 ვედრა წყალი მოდის და ჰფიქრობენ,

# ფელეტონი

## ხოლერა

— ქრისტიანებო, მიშველეთ! ბატონებო, ადამიანებო, მიშველეთ, თქვენი ჭირიმეთ, შემიბრალეთ, გიგოლა მიკვდება, მიშველეთ რამე! რეტიანივით დარბოდა ერთი მეზობლის კარიდგან მეორესთან საცოდავი ქეთო შუაღამისას, მაგრამ ერთმა სულდგმულმა არ გასცა პასუხი, ერთმა არ შეისმინა იმისი ვედრება. გარშემო ისეთი სიჩუმე იყო, თითქო მთელს სოფელს მისძინებია სიკვდილის ძილით, ან შემმუსვრელ მტერს გაჰქცევია ტყედ და ველადაო.

ადამიანმა რომ ხმა არ გასცა, ქეთომ ცას მიჰმართა. ხელ-გაპყრობილი, თვალ-ცრემლიანი დაეცა მუხლებზედ და ღმერთს შეჰღაღადა: ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო, შეიბრალე ჩემი ოხერი თავი, ნუ წამართმევ ერთად-ერთს მასაზრდოებელს, ნუ დააობლებ ჩემს უსუსურს ბავშვებს მაგრამ ცამაც ყური მოიყრუა და განთიადისას გიგოლამ სული განუტევა.

ბევრის ღრიალით ხმა-დაკარგული ქეთო მგელივით დაჰღაოდა თავის საყვარელის ქმრის ცხედარს. თმა გაწეწილი, გულის-პირი ჩამოგლეჯილი, ცრემლებისაგან თავ-პირ დასიებული და დაწითლებული საზარელი სანახავი იყო ქეთო. იმის ოთხის წლის გოგო მათა შიშით თავს ზარ-დაცემული კუნჭულიდგან გამოიყურებოდა; ტახტის ბოლოზედ აკვანში ჩაკრული ექვსის თთვის გაბრო საშინლად ჩხაოდა, მაგრამ ქეთოს აღარა ესმოდარა. ქეთო თავ-პირში იცემდა, თმებს იგლეჯდა და სტიროდა თავისს გიგლას,—ამ ერთად-ერთს თავისს ნუგეშს, თავისს მაცხოვრებელს, წვრილშვილის ლუკმის მზიდველს. ქეთო სტიროდა და თავში იცემდა დიდხანს, დიდხანს, მანამ ცრემლი, ხმა და ღონე მოსდევდა; როცა წელში მოსწყდა, ყელი ამოუხმა, გულმა ღონება დაუწყო, ადგა, მიიხედ-მოიხედა და, რაკი დაინახა გარშემო მორეული უწმინდურობა, შიშის ზარმა აიტანა. ეხლა და მხოლოდ ეხლა მიხვდა, რომ იმის გიგოლა ხოლერის მსხვერპლი შექმნილიყო და საშინლად შეაჟრჟოლა, თმები მაღლა წაუვიდა, ყელის ძარღვები დაებერა, გულს ბოლმა მოაწვა, მუცელმა წიწკვნა დაუწყო. ქეთომ ნათლად წარმოიდგინა თავისი თავიც გიგოლასავით ლურჯად მოკრუნჩხულ-დამახინჯებული და შიშით გონება აერია: გიჟივით მივარდა აკვანს, საჩქაროდ ამოაძრო იქიდგან გაბრო, გაახვია თბილს საბანში, თავზედ შალი წამოიდო და გარედ გავარდა. უკან ტირილით გაჰყვა პატარა გოგოც.

გიგოლა რაჭველი ამ ათის წლის წინად შემოეკედლა სოფელ ნაგომურს და აქ თიხის ჭურჭლის კეთებით ირჩენდა თავს. ცოლად შეირთო თავისავით ოხერი და უპატრონო გოგო ქეთო, რომელსაც დედინაცვალმა ჯვარის წერის ღამეს კარგადა სცემა და შიშველ-ტიტველი გამოაგდო. ლოგინი რა არის, ლოგინი,— ეს აუცილებელი მზითევი გლეხკაცის სარძლოსი, ისიც-კი არ მოუტანია ქეთოს გიგოლასათვის. მთელი ოთხი წელიწადი დაუღალავი შრომა მოანდომეს ამ ცოლ-ქმართ ერთი ხელი ლოგინისა და გახეხილის ფარდაგის შეძენას და ეს ლოგინი და პატარა ხის ტახტი ზედ გადაშლილის ფარდაგით იყო მთელი იმათი საკუთრება; არავითარი სხვა სამკაული არ ამშვენებდა პატარა, ბნელს, მიწურ ოთახს, რომელიც თთვეში ორ აბაზად ჰქონდათ დაქირავებული. წლითი-წლამდე გიგოლა დადიოდა სოფელ-სოფელ და თან ატარებდა ვირზედ აკიდებულს გოდრებს თიხის ჭურჭლით; ჭურჭელს ჭირნახულზედ სცვლიდა და ამ გვარად ჰშოულობდა ცოლშვილისათვის საზრდოს.

არც მეზობელი, არც ნათესავი არ ეკარებოდა ამათს ღატაკს ოჯახს და არც ლხინსა და არც ჭირში იკარებდა ვინმე „საიდგანღაც მოთრეულს“ ნაგლეჯუა ცოლ-ქმარს.

ამ მდგომარეობაში ვისთვის მიემართნა ქეთოს? ვისთვის ეთხოვა ნუგეში ქვრივსა და ობოლს? ვინ გასცა წუხელი იმას ხმა, ვინ შეიბრალა? არავინ...

ქეთო მირბოდა და თან უკან-უკან იხედებოდა, თითქოს იმისი შიში ჰქონდა, ხოლერა უკან ხომ არ გამომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მაშინების გაკეთების შემდეგ 100,000 ვედრაზედ მეტი წყალი გვექნებაო. („Н. О.“).

*** „Тер. Вѣд.“-ი გვაცნობებს, რომ 7 ოქტომბერს კავკავს მოვიდა სამხედრო სამკურნალო ოლქის ინსპექტორი ტ. ს. რემმერტი, რომელიც რამდენსამე დღეს დაჰყოფს კავკავს და ყოველ გვარ ღონისძიებას იხმარს, რომ იქ ხოლერამ კვლავ არ იჩინოს თავიო.

*** „Новости“-ში ვკითხულობთ, რომ განზრახვა არის აქციზი მოუმატონ ლუდს—ვედრაზედ 10 კ. ეს აქციზი შემოღებულ იქმნება ამ წელსვე.

*** ტფილისის გუბერნატორის თავადს გ. დ. შერვაშიძეს შუამდგომელობითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება-დართვით ქ. ახალციხეს დახმარება აღმოუჩინეს ხოლერასთან საბრძოლველად 5,000 მანეთით. ახალციხის სამოქალაქო საბჭომ გადასწყვიტა: ყოველ წლივ ხუთას-ხუთასი მანეთი გარდავიხადოთ და ისე მოვიშოროთ ეს ვალიო. ახლა, გაზ. „Т. Л.“-ის სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრს მოუწერია გუბერნატორისათვის, რომ ვალდებულ გაჰხადეთ ახალციხის ქალაქის მმართველობა, თვის მიერ სესხად აღებული 5,000 მანეთი ხუთის წლის განმავალობაში გადაიხადოს და ყოველ წლივ ხაზინაში 1,000 მანეთი შეიტანოსო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ამ ჟამად ტფილისის პოლიციის მე-10 განყოფილებაში იმყოფება სულით ავადმყოფი კორვინ-შიმანსკის ქალი, რომელიც ტფილისის საპყრობილეში საცვლების მეთვალ-ყურედ იყო. საბრალო ჰკუიდგან შეშლილა იმის გამო, რაც ერთს იმის ახლო ნათესავს თავი მოუკლავს. პოლიცია აგერ ორი კვირაა რაც სცდილობს, ავადმყოფი საგიჟეთში დააბინავოს, მაგრამ უალაგობის გამო ვერ მოუხერხებია. ამასობაში ავადმყოფის პოლიციაში შენახვა შეუძლებელია, რადგან კარებს ამტვრევს, ფანჯრის შუშებს ჰლეწს, გამოდის ქუჩაში და აყალმაყალსა ჰმართავს. პარასკევს საღამოს მიხეილის საავადმყოფოსთან ეს ავადმყოფი მივარდა ერთ კაცს და ცილინდრი გადუგდო და შემდეგ მეორეს გამოეკიდა, მაგრამ იმან დროზედ მოასწრო და დაიმალა. ამბობენ, რომ შიმანსკაია ერთად-ერთი მემკვიდრეა ნახევარ მილიონის ქონებისა და ამ დღეებში უწყებაც მოსვლია სასამართლოდგან, სადაც იმიტომ იბარებენ, რომ მემკვიდრეობის უფლება დაუმტკიცონო.

*** გაზ. „Новости“ სწერს: ამ ჟამად სრულიად აკეთებენ და განაკარგებენ შენობას რუსეთის საიმპერატორო და სატეხნიკო საზოგადოების საქიმიო ლაბორატორიისას. ამ შენობის გათავების შემდეგ დაუყოვნებლივ ხელს მიჰყოფენ გამოკვლევას იმ საგნისას, თუ რა გავლენა აქვს ელექტრონს ღვინოზედ, რომლის შესახებაც წარსულს წელს ლაპარაკი აღიძრა სატეხნიკო საზოგადოების საქიმიო განყოფილებაში.

*** 11 ოქტომბერს ავჭალის ქუჩაზე პარუნსარქისოვის სახლთან იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი მოისეევმა აიყვანა აღსაზრდელად.

*** 10 ამ თთვისას წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიათან იპოვნეს ხუთის თთვის მიგდებულივე ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 11 ამ თთვისას თივის მოედანზე აკოფ ყაზაროვის სახლში მცხოვრებელმა ეივაზ ბალდასაროვმა რიყეზედ თავის გათხოვილის ქალის სადგურში სამს ალაგას დასჭრა თავისი 33 წლის ცოლი. ქალის მორჩენა საეჭვოა. დამნაშავე შეიპყრეს.

## მთავრობის განკარგულებანი

მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებული გრიგოლ ვოლსკი შერიცხული იქნა გზათა სამინისტროს სამსახურში და გაიგზავნა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მკურნალის თანამდებობის აღსასრულებლად.

30 სექტ. სიკვდილის გამო ნუსხადგან გამოირიცხა თიანეთის მაზრის სამმართველოს მოხელე ტიტულიარნი სოვეტნიკი თავადი ილია ვაჩნაძე.

## ქართული თეატრი

„თელაველი ოტელო“, დრამა 4 მოქმედ., თხზ. ან. ბენაშვილისა *).

მოველ თუ არა თეატრიდამ სახლში, დავეჩქარე აღმენიშნა, რაც ვიგრძნე—ამ ახალ პიესის ნახვით, მაგრამ... მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, გამიძნელდა: ეხლაც თვალ-წინ მიტრიალებს ეჭვით ავადმყოფის ადამიანის სურათი; ვანო, სულით დაცემული, ხან ღრმად ჩაფიქრებული, თითქო თავის სულის აღმშფოთებელის მიზეზს ეძებსო, ხან განრისხებული და გამხეცებული მიიწევს სადღაც, თითქო ეს არის მიაგნო იმ საგანს, რომელიც ასე სტანჯავს და სიცოცხლეს უმწარებს. ვანო, ვამბობ, ამ ერთის გრძნობით სულით-ხორცამდე გამსჭვალული, თუმცა-კი ორის სახით—ხან დაფიქრებული, ხან მრისხანე, ტრიალობს სცენაზედ და არ ელება ბოლო მისს ტანჯვას. ოღონდაც რომ დაუსრულებელი ამბავია.

მოგითხრობთ მოკლედ ამ პიესის არაკს: ნუშო პატარა მონოლოგით გვატყობინებს, რომ ვანო მისი ქმარია, უყვარს ძალიან და რომ უკანასკნელ დღეებში რაღაც ცვლილება დაეტყო: ცოტა დაღვრემილია და სულ რაღაცას ფიქრობს. ქალი ეკითხება თავისს დედამთილს კეკას, რომელსაც არ გამოჰპარვია აგრეთვე ვანოს ამ ნაირი მდგომარეობა, და, მართლაც, ამ დროს შემოდის ვანო და ჩვენცა ვხედავთ, რომ რძალ-დედამთილი შემცდარნი არ არიან. ვანო შემოდის დაღვრემილი და, რა გაისტუმრებს დედას ნუშოს დასაძახებლად, რომელიც ამ დროს რიღასთვისაც სცენიდგან გადის, იგდებს ხელში დროს, რომ გვაცნობოს თავის ეჭვით ავადმყოფობა: ვიღაც მწვანე იაგორას, თითქმის პირში მიუხლია, შენი ცოლი უნამუსო არისო, და ამასთანავე რაღაც სიმღერისათვისაც მოუკრავს ყური. ეს არის და ეს. ნუშო უმანკო ალერსით ცოტას ხნობით უხსნის მოჭმუხვნილს სახეს. ვანო თითქო დარწმუნდება, რომ ჩემი ცოლი ალალიაო და ვიღასიც მუქარით გადის. შემოდიან ახლა ვიღაც თალალა და სოფო, რომელნიც ვანოს სახლის სტუმრები რომ არა ყოფილიყვნენ, შეგვეძლო სცენიდგან დაგვეთხოვა. სოფო, ახალგაზდა „ბარიშნა“, თელავის დედათა უნივერსიტეტში ნასწავლი, რაღაცას ლიბერალობს და ემდურის თელავის საზოგადოებას; ამ ლაპარაკს შემოუსწრობენ: ვანო, საუბედუროდ, იმავე დაღვრემილის სახით და ვანოს კარგი მეგობარი, ნუშოს ბიძაშვილი არტემა—ერთი ჩათუქესანი, მხიარული ძმა ბიჭი. ვანო კუთხეში აიტუზება და არტემა-კი მოუთხრობს თალალას თავის ვინაობას, ბარიშნას გამოელაპარაკება და ჩამოვარდება ლაპარაკი სომხურის ენის შესახებ, სარწმუნოებისა და გაქართველებულ სომხების გასომხების თაობაზედ; როგორც მოგეხსენებათ, ეს ძველი ისტორიაა, რომელიც, იქნება, მარტო არტემას არ გაუგონია. სტუმრები მიდიან (კარგა ხანგრძლივის ვიზიტის შემდეგ); კეკა და ნუშო აცილებენ (ამას ზრდილობა მოითხოვდა) და ვანო და არტემა მარტო რჩებიან. არტემა შეამჩნევს ვანოს მწუხარე სახეს და, რასაკვირველია, ამის მიზეზი ეცოდინება, რადგან მრისხანედ მიმავალს ვანოს შეაყენებს და ევედრება მიმსახურე, ის მწვანე იაგორა დამაზელინე, შენ ხელს ნუ გაისვრიო. არტემა გარბის დოშის (?) მოსატანად; რასაკვირველია, კარგი მეგობარი დოშის გულისათვის ვანოს ამ ყოფაში თავს არ დაანებებდა, მაგრამ, არა უშავდა-რა; ნუშო, ანგარიშით, მალე უნდა შემოსულიყო; და ამ დროს ვანომაც მოასწრო ეთქვა, არტემა შემესწრო წვანე იაგორასთან ლაპარაკის დროს, თორემ უეჭველად თავს გაუხეთქავდიო. წარმოიდგინეთ იაგორას უსვინიდისობა და, მე დავუმატებ, გულადობაც: ამ ღონით სავსე კაცს უარესის შეურაცყოფის მიყენება გაუბედა! როგორ არ უნდა ეტკინოს გული და არ აღუშფოთდეს სული ცოლის ქმარს?! ნუ თუ მართალია ეს ჭორი? არა, არ შეიძლება; აგერ ნუშოც შემოვიდა. აბა, ვკითხო; მაგრამ როგორ? განა ეგრე უყვარს ნუშო, რომ გაჰბედოს ამისი კითხვა? ვანო აფიცებს, ძალიან აფიცებს ნუშოს და მერე უთქმელად, დაუძლურებული, ტირილით მუთაქაზე პირქვე ემხობა.

მეორე მოქმედება. თელავს ძალიან უყვარს სტუმრიანობა. თალალას სახლში სტუმრები არიან. ნუშოზე მოგონილს ჭორებს აქამდინაც მიუღწევიათ; მაშასადამე, მართალი ყოფილა, რომ ქალაქში ჭორი დადიოდა. ისიც გაუგონიათ, რომ ვითომ ვანო სადღაც გავარდნილა; ეს ამბავი ჭორი არ ყოფილა, ამიტომ რომ ნუშო და კეკე, რომელნიც შეწუხებულები შემოცვივდებიან თალალას სახლში და სტუმრებსაც დაშლიან, გვატყობინებენ, ვანო სადღაც დაიკარგაო. ნუშოს და კეკესაც გული უწუხდებათ, მაგრამ თალალას კარგი წამალი სცოდნია; ჯერ ერთს გაიყვანს მეორე ოთახში მოსასვენებლად, მერე მეორეს და ამ ნაირად ღვთის მადლს ისხამს. მაგრამ მწუხარება თვალს დაახუჭვინებს? შემოდის არტემა მათ დასაძახებლად წამოსული და გვეუბნება, რომ ვანო ვიპოვნე და კიდეც მივიყვანე სახლშიო. ეფიცება და კიდეც არწმუნებს სოფოს, რომ ჩემი სალოცავი ხატია და ვანო ხომ ქვეყანას მირჩევნიანო; მაგრამ რა-კი ის არის მიზეზი ოჯახის უბედურობისა, ყველაფერს ეტყვის ვანოს და კიდეც გადიკარგება ისევ კავკავში. თუმცა ხმა მაღლა არა ლაპარაკობს, მაგრამ ნუშო და კეკე იგრძნობენ იმის მოსვლას, წივილით გამოვარდებიან და გაიქცევიან სახლში ვანოს სანახავად.

ყველანი გადიან და თითქო კარებს უკან იყო დამალულიო, ვანო მაშინვე შემოდის ცარიელ სცენაზედ, იმავე ეჭვის ჭვლებით დაღრეჯილი; ესეც თურმე ნუშოს საძებნელად წამოსულა. ორიოდე მძლავრის სიტყვით გვეუბნება, რომ ძალიან მიყვარს ნუშოვო; სწუხს, ბედნიერება დავკარგეო, წამოწვება და დაიძინებს (?). შემოდიან სოფო და თალალა, რომელთაც, როგორც ეტყობა, სტუმრები გაეცილებინათ; მე-კი ასე მეგონა, თან წაჰყვებოდნენ მწუხარეთა. შემოდიან და აღვიძებენ ვანოს, რომელიც ძლივს ერკვევა ძილისაგან, იკითხამს ნუშოს, რომლის უმანკოების მეზობლები ძალიან სუსტად იფარავენ; ამ დროს შემოვარდებიან გულ-გახეთქილი ნუშო და კეკე და, თქმა არ უნდა, წივილ-კივილი გაიმართება. ვანო არ იკარებს ნუშოს, რომელიც გულის ტკივილით ეუბნება: წავალ, დავიკარგები, მოგშორდები, მაგრამ, რა ვქნა, რომ არ მიშვებენო... და ნუშოსაც გული უწუხდება; გულშეწუხებულის დანახვა ვანოს მწარედ ატირებს.

მესამე მოქმედება დუქნის წინ სწარმოებს. აქ პირველად ვხედავთ იმავს სულს, წვანე იაგორას, რომელსაც ყველა კინტო-ბიჭები დასცინიან და თავში ურახუნებენ და ისე აწვალებენ, რომ შეებრალება მაყურებელს. თვით არტემასაც-კი ებრალება იმ ნაირი კაცი, რომელსაც ერთი ბეწვა ვაჟ-კაცობისა არა მოეპოვებარა და უცემრად ისტუმრებს. აქვე გამოჩნდება ვანოც, რომელიც მავნე სულსავით ეჭვს მთლად შეუპყრია და გონება-დაბნეული დაბარბაცებს. ვანო წვანე იაგორას ეძებს, რომ ათქმევინოს ამ არტემას ვინაობა; მაგრამ იაგორას მაგივრად შეხვდება არტემას, რომელიც ამაოდ სცდილობს დაამშვიდოს. შემოესწრება ნუშო და

*) ეს წერილი დღემდე ვერ დავბეჭდეთ, რადგან ადგილი არა გვქონდა გაზეთში. რედ.

---

კიდაო. მირბოდა ქეთო და თითონაც არ იცოდა, სად უნდა გაჩერებულიყო. საშინელი ცხელი, უნიავო, სულის შემხუთავი სიცხე იყო, თითქოს ულმობელს მზეს უნდოდა შიშისაგან გონება დაბნეული ხალხი უფრო დაეწვა და დაედაგა. ქეთოს ცალს ხელში ძალზედ ჩასუქებული ბავშვი ეჭირა და მეორე ხელით მათას მიათრევდა, სახეზედ ოფლი ჩამოსდიოდა წურწურით, დაღალულობის ქანცი არჩობდა, მაგრამ მაინც მიდიოდა და მიდიოდა. გონებაზედ მხოლოდ მაშინ მოვიდა, როდესაც სოფელზედ კარგა მოშორებით ორღობის შუა მჩქეფარე პატარა წყლის რუ დაინახა; მაშინ ჩაჯდა, პირზედ წყალი შეისხა და მღვრიე ნაკადულს ხარბად დაეწაფა; მერე პატარას ძუძუ ჩაუდო და წყლის მდინარებას თვალი დააშტერა, ფიქრებმა წაიღო. თვალ-წინ წარმოუდგა საბრალოს თავის ხან-მოკლე, მაგრამ მრავალ-ტანჯული სიცოცხლე: სულ ათის წლისა არ იყო, როდესაც მოუკვდა მამა და დარჩა დედინაცვლის ანაბარად. მას აქეთ ქეთოს არ ენახა ახალი ტანთ-საცმელი, არ ეჭამა ხორცეული საჭმელი; მთელი მისი სიცოცხლე ერთი გაუთავებელი სიგლახაკე და ბნელით მოსილი ბურანი იყო; მაგრამ ამ უბედურს, ოც-და-ორის წლის ყმაწვილს დედაკაცს, მაინც სიცოცხლე სურდა და არა ჰნანობდა, რომ მკვდარს თავი დაანება და ასე სამარცხვინოდ გამოიქცა: „რა ვქნა, მაშ რა მექნა? იმართლებდა თავს თავისის სინიდისის წინაშე: მეც ზედ დავკვდომოდი და ბალღები ულუკმა-პუროდ გამეწყვიტნა? ულუკმა-პუროდ!.. და განა ეხლა-კი ულუკმა-პუროდ არ არიან ესენიც და მეც? მე უბედური! მერე ამოდენა ხანია არა მიჭამია-რა, მუცელი მეწვის შიმშილით, თავს ბრუ მეხვევა“.

— შვილო მათა, შე საცოდავო, შენცა გშიან ხომ?

აქამდე თამაშობაში გართული მათა ახლა-კი დაიღრიჯა და მორთო ღრიალი: მშიან, დედი, პური...

ქეთო ზეზედ წამოდგა, აქეთ იქით მიიხედა და ათიოდ ნაბიჯზედ ბაღში ძალზედ მოსხმული დაწითლებული ვაშლი დაინახა; საჩქაროდ გადახტა ღობეზედ, შვილებიც გადაასხა და მადიანად გამოძღა ჯერ მოუსვლელის ვაშლით, მერე, წუხანდელ ღამე ნატეხს, ძილი მოერია და იქვე ხის ქვეშ მიიძინა.

შხირ-ბინდი იყო, როდესაც ქეთოს გამოეღვიძა. საშინელს სიცივეს ჰგრძნობდა, ძვალ-რბილი მთლად გაშეშებოდა, თვალთ უჭრიალებდა და კუჭზედ ეხვეოდა; შალი მაგრად მოიჭირა გულ-მუცელზედ, მუჭის ოდნად მოიკუნტა, მაგრამ სიცივე თანდათან უფრო ძვლებში უჯდებოდა, კბილი კბილს აცემინებდა, ძარღვებში სისხლი ეყინებოდა; ქეთოს ხელ-ახლად შიშის ზარი დაეცა. მიხვდა, რომ იმის აღსასრულის დღეც დადგა და ბავშვებს ხელი დაავლო. უნდოდა ახლა ისევ სოფლისთვის მიეტანებინა, მაგრამ დააზიდა და ჩააჩოქა; ნახევარ საათს შემდეგ ქეთოს თვალებზედ ბინდი გადაეკრა; ხელებს აფათურებდა, უნდოდა, თავისი ატირებული შვილები მიეახლოვებინა, გულში ჩაეკრა, მაგრამ ხელები არ ემორჩილებოდა, სხეულის ყველა ასო ეკრუნჩხებოდა, ეგრიხებოდა. მეტადრე მუცელი სწვავდა და სდაგავდა, ჯოჯოხეთის ცეცხლი ეკიდა იმის წელებს და საოცარის ძალით ჰგლეჯდა და ჰფათრავდა.

განთიადისას, სწორედ იმ დროს, როდესაც გიგოლამ სული განუტევა, ქეთოც გამოესალმა წუთი-სოფელს.

მეორე დღეს ტეტიკა იმერელი თავ-ჩაღუნული, დაფიქრებული უვლიდა ვენახს და ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თავისს ქვეყანაში და ხელი აეღო ამოდენა ნაამაგევზედ, თუ თავისი სიცოცხლე ბედზედ მიეგდო და დარჩენილიყო. ამ დროს მოესმა ბავშვის ტირილი და გაეშურა იქითკენ, საიდგანაც ხმა მოდიოდა: ხეხილებ ქვეშ, მწვანე ბალახზედ, ამომავალის მზის სხივებით განათებული ეგდო გაშეშებული ყმაწვილი დედაკაცი; ძუძუზედ ეკიდა უსუსური ბავშვი, თავს უჯდა პაწაწა გოგო და დედის ცივს ლოყებს უწკაპუნებდა პატარა ხელებს: „ადე, დედი, ადე შინ წავიდეთ, პური მშიან“...

ტეტიკა შეკრთა, შეძრწუნდა, თვალებზედ ხელი მიიფარა და ქვითინი დაიწყო:

— ღმერთო სახიერო! რისთვის მოგვაყენე ეს საშინელი სასჯელი!..

ეკ. გაბაშვილისა

კეკა, ვანოს საძებნელად წამოსულნი, და ივივე მეორე მოქმედების სცენა განმეორდება.

მეოთხე მოქმედება. ვანო თავის სახლში სულით ავადმყოფი, ხალ წამოსხმული თითქო რჩენაში შედის; მაგრამ, როგორც ექიმებს უთქვამთ, ცოტა მიზეზი საკმარისია, რომ ან მთლად შეიშალოს და ან მოკვდეს. ამ მიზეზსაც თალალა აძლევს, რომელიც უცაბედათ მოაგონებს წარსულს. ვანო გაგიჟებული წამოაგდებს მძინარე ნუ ბოს და ხანჯლით ჰკლავს.

(დასასრული იქნება)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**მიქელ-გაბრიელი** (გურია). ბატონ-ყმობის გადავარდნას ორი წელიწადი აკლდა, რომ აქაურმა მებატონემ თავ. მიხეილ ნაკაშიძემ თავის ხარჯით დააარსა სკოლა ამ სოფლის ყმაწვილებისათვის. სკოლაში, ძალით იყო თუ ნებით, ბლომად იყვნენ ყმაწვილები და იმ დროს კვალობაზედ კარგს ცოდნას იძენდნენ.

გავიდა 8—9 წელიწადი; დამაარსებელი გარდაიცვალა და სკოლამაც შესწყვიტა თავისი არსებობა. იმ სკოლაში ნასწავლებმა, შინ, თუ გარეთ, რა საქმესაც მოჰკიდეს ხელი, სულ უსწავლელ, უწიგნო და უკალმო ხალხთან შედარებით, წარმატებით წაიყვანეს თავიანთი საქმე და დაწინაურდნენ. ამ სოფელში სწავლის სურვილი იმდენად გაძლიერდა, რომ მერე რაც ყმაწვილები გამოიზარდა, თითქმის ყველამ შეისწავლა წერა, ზოგმა სოფლის მწერლისაგან და ზოგმა სკოლაში ნამყოფ მეზობლებისაგან.

თუმცა სოფელი ჰგრძნობდა სკოლის საჭიროებას, მაგრამ უთავობით ვერა ჰბედავდა და ვერ ახერხებდა სკოლის დაარსებას. ცხრა წელიწადი იქმნება მას შემდეგ, რაც აქაურმა მემამულემ, ახალგაზდა თავადმა, შვილმა განსვენებულის მიხეილ ნაკაშიძისამ. მიშა ნაკაშიძემ ბევრჯერ ჩააგონა საზოგადოებას, უსკოლობა არ გარგიათო. ხალხმა ეს კეთილად მიიღო და გაიმართა ერთ-კლასიანი სკოლა. ჩამგონებელმა ერთ დროებით რამდენიმე ასი მანეთი შესწირა სკოლას, ყოველთვის აძლევს ნივთიერს შემწეობას და აგრეთვე სხვა შემომწირველებიც მოუპოვა სკოლას. სასკოლო შენობის აგებისათვის სოფელს ერთი კაპეიკიც არ დაუხარჯავს. 6 წელიწადი იქნება, რაც იმავე მემამულის რჩევით სოფელმა შესწირა სკოლას რამდენიმე ათასი მანეთი. ამ ფულის ნანთავნი სრულიად საკმარისია მასწავლებლის ჯამაგირად, ასე რომ საზოგადოებას სკოლის შესანახად არაფერი არ ეხარჯება. ის ფული, რომელიც შესწირა საზოგადოებამ სკოლას, შესდგა სასოფლო სიმინდის მაღაზიის შემწეობით. კაი ხანია აქ სასოფლო სიმინდის მაღაზიაში აღარ აგროვებენ სიმინდს, თითქოს სარგებლობა არა მოეტანოსრა სოფლისათვისაო. ეხლა პოლიციის ბოქაულმა ბ-ნმა ფიცხელაურმა გამოუცხადა ყრილობას, უთუოდ უნდა ააგოთ საერთო სიმინდის მაღაზია და შეიტანოთ სიმინდი შეძლებისა-და-გვარადაო. ხალხიც დასთანხმდა.

ყმაწვილების მიღების დღეს სკოლაში მრავალნი მოადგებიან ხოლმე სკოლის კარებს, მაგრამ ბევრნი მათ შორის უადგილობის გამო ატირებული უკანა ბრუნდება. ისმის მშობლების გაუთავებელი ხვეწნა-ვედრება: „არა ჩემი ბალანაი მიიღეთ და არა ჩემიო“.

ეს გარემოება ზემოხსენებულმა თავადმა მოახსენა ოზურგეთის მაზრის უფროსს ბ-ნს სოკოლსკის. 17-ს სექტემბერს უფროსმა შეჰყარა ყრილობა, მოვიდა მიქელ-გაბრიელში და უთხრა ხალხს: „თქვენთან ბევრი სათქმელი მაქვს, მაგრამ დღეს მხოლოდ სკოლის საქმეზე გვექნება ლაპარაკი და სჯაო“. შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა, რომ ეხლანდელ დროში ყველასათვის პირველ დასაწყისი სწავლა აუცილებელი საჭიროებააო. ხალხს დიდად მოეწონა ის, რომ თქვენი სკოლა ნივთიერის მხრით ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველყოფილი გაგიხდიათო, ხოლო ის-კი ვერაფერი საქებურიაო, სთქვა ბ-ნმა სოკოლსკიმ, რომ თქვენი შვილები სკოლაში ადგილის უქონლობის გამო უსწავლელნი რჩებიანო, ამიტომ საჭიროა თქვენი ერთ-კლასიანი სკოლა გაავრცელოთ, გაადიდოთო; მაშინ ყველასათვის იქნება ადგილი და, რა თქმა უნდა მომეტებულ სწავლასაც შეიძენენო. წლიურად თითო მანეთი უნდა გამოიმეტოთ კომლმა ამ გვარად სკოლის გასაფართოებლადაო. კაცი სხვა საქმეზედ რომ დახარჯავს ფულს, მაგ ფიქლების დასაჭერად, ან გზის გასაკეთებლად და სხ., ყოველთვის ეჭვიანობს, დახარჯულის საფასო საქმე კეთდება თუ არაო, და სწავლა-განათლებზედ დახარჯული ფული-კი არ არის ეჭვო, და სასარგებლო რომ არის, ცხადი ჭეშმარიტებააო, უტყუარიო. ჩემი სამთო მოვალეობაა ეს გითხრათ თვენ, როგორც მაზრის უფროსმა, კიდევაც გაგამართვინოთ იმ ერთი კლასის გარდა, მეორე კლასიცა, მაგრამ მე, როგორც თქვენი კეთილის მდომელი, გთხოვთ, უარს ნუ ჰყვით თქვენის ერთ-კლასიანის სკოლის გაორკლასიანებაზედაო. აქ თ. მიშა ნაკაშიძემ უთხრა საზოგადოებს, მეორე კლასის შენობის აშენებას მე ვკისრულობ, თქვენ არაფერს არ ხარჯვინებთო.

საზოგადოებამ ერთხმად გადასწყვიტა, ერთ-კლასიანი სკოლა გადაკეთდეს ორ-კლასიანად და შეადგინეს კიდეც განაჩენი და წარადგინეს, სადაც ჯერ იყო.

თეოფა კალანდარიშვილი

## ტფილისის ბაზარი

კაკალი. კაკალი ქართლიდგან ჩამოაქვთ და ფუთი იყიდება 1 მ. 40 კ.

ყურძენი. განჯის ყურძენი ფუთი 1 მ. 50—60 კ. ჰლირს, ადგილობრივი-კი—1 მ.—1 მ. [illegible] კ. ფუთი.

გორის მაზრის ვაშლი 1 მ. 70—80 კ. ახალციხის ვაშლი—3 მ. და 20 კ. განჯის ბროწეული იყიდება ცალობით და ჰლირს თითო 6—7 კ., უფრო წვრილი-კი 3—4 კოშში—70—80 კ. ფუთი.

კვერცხი. გუმბრიდგან და ახალბაიაზეთიდგან მოაქვთ და ასი ცალი კვერცხი ჰლირს 1 მ. 20. კ.

ყველი. თუშური საუკეთესო ყველი ჰლირს ფუთი 7 მ., ოსური ყველი 3 მ. 60 კ.—4 მ. 50 კ.

ერბო. თუშური გადადნობილი ერბო ფუთი 12, 13 და 14 მან.; გადუდნობელი—10 და 11 მ. კარაქი 50—ან 80 კ. გირვანქა.

ზეთი. მდოგვის ზეთი ფუთი ჰლირს 10—11 მ., გენაგერჩაგისა, ერევნიდგან მოტანილი,—8 მ. 50 კ.; ადგილობრივი ტოლლეს ქარხნისა—8 მ. 60 კ.; ალიხანოვისა და თაიროვისა 8 მ. 20 კ.

ნავთი. ფუთობით 1 მ. ისყიდება, ნარდად-კი 80—85 კ.

მარილი. ყულფიდგან (ერევანშია) მოტანილი მარილი უწინ 80 და 90 კ. იყიდებოდა, წელს-კი 50—60 კ. არის. ყაგიზმანის მარილი 50—55 კ., ბაქოსი 20—25 კ.

შაქარი. ფასი მომეტებულია, ფუთი 7 მ. 10 კ., ბროდსკისა 7 მ. 20 კ., ჩერკაშული 7 მ. 15 კ.

ფხვნილი შაქარი ფუთი ჰლირს 5 მ. 80 კ.—5 მან. 90 კ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენის გაზეთის მე-214 ნომერში დაბეჭდილი იყო შემდეგი დეპეშა 8 ოქტომბრიდგან

„Бирж. Вѣд.“-ი იუწყება, რომ კომისიაა შემდგარი ფინანსთა სამინისტროს მმართველის თავმჯდომარეობით, რათა ცვლილებანი იქმნეს შემოღებული სახელმწიფო ბანკში, საქმეთა წარმოება უფრო სადა და ადვილი შეიქმნას სავაჭრო კრედიტის საქმეში და სავაჭრო ოპერაციებისათვის ბანკს უფრო მეტი უფლება მიენიჭოსო“.

ეს ამბავი ფრიად სასიამოვნოდ მიგვაჩნიაო, ამბობს გაზეთი „Каспій“.

სახელმწიფო ბანკის დანიშნულება მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებაა და, მაშასადამე, სასურველია, რომ ბანკმა ამ საქმეს მეტი ყურადღება მიაქციოს. სახელმწიფო ბანკის წესდებით ამ ბანკიდგან ფულის სესხვა შეიძლება ვექსილით, რომელზედაც უეჭველად ორმა სანდო გაცმა უნდა მოაწეროს ხელი. სამწუხაროდ, აქამდე სახელმწიფო ბანკი და ამ ბანკის განყოფილებანი აგრეთვე ასეთის ვექსილებით ფულს არ იძლეოდნენ. ბანკის მმართველობა აძლევდა კრედიტს რამდენსამე შეძლებულს ფირმას და ესენი თავის მხრივ ფულს აძლევდნენ მსესხველთ ვექსილითა. ამ გვარად სახელმწიფო ბანკიდგან ფულის მსესხველს უეჭველად რომელსამე შეძლებულს ფირმისთვის უნდა მიემართნა. ფულის მსესხებელს ეს შუამავლობა ფირმებისა ძვირად უჯდებოდა და ამიტომ სახელმწიფო ბანკიდგან ძლიერ ნაკლებად სესხულობდნენ. ეხლა-კი, როგორც ზომოდ მოყვანილ დეპეშიდგანა სჩანს, სახელმწიფო ბანკში საქმეთა წარმოება უფრო სადა და ადვილი უნდა იქმნას და იმედია, რომ სახელმწიფო ბანკი მომეტებულს სესხის მსურველს გასცემს ფულს ვექსილებითა და ამითი, რა თქმა უნდა, ძლიერ დაეხმარება მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას იმპერიაში.

## უცხოეთი

**გერმანია.** „Figaro“-ს თანამშრომელს ჟულ იურეს ბაასი ჰქონია ბებელთან. ბებელი, როგორც მკითხველებმაც უწყიან, გერმანიის სოციალიზმის ერთიმეთაურთაგანია. „ბებელი ბერლინში შემხვდაო, სწერს იურე, სწორედ მაშინ, როდესაც ყველა გაზეთმა გამოაცხადა, რომ ბებელი ჭკუიდგან შეიშალაო. ბებელი შეხედულობით 45 წლისაა; შუა ტანისაა, მეტად მხნე სახე აქვს; გრძელი თმები გაშლილს შუბლზედა აქვს გადაშლილი; ქერა ულვაშები აქვს და მოკლე; რგვლად შეკრეჭილი წვერი, რომელშიაც ჭაღარა გამოჰრევია; ცისფერი თვალები აქვს; წარბები წინ აქვს წამოჭიმული. ბებელი დიდად თავ-დაჭერით იქცევა და სასტიკი გამომეტყველება აქვს სახისაო“.

როდესაც იურეს უკითხავს, სახელმწიფო სოციალიზმი კოლექტივიზმს ხომ არ ემუქრებაო, ბებელმა სხვათა შორის შენიშნა თურმე: „ბერლინის კონფერენციამ, მუშათა საქმის გამო თავ-მოყრილმა, აშკარად დაამტკიცა ულონობა და უძლურება იმპერატორისა, თუმცა იგი კეთილის სურვილით არის აღძრული და გატაცებულიო. გერმანიის ბურჟუაზია ეხლა ისე ძლიერია და იმპერატორს ისე უჭირს მისი დახმარება, რომ იძულებული იყო უკუმდგარიყო და უკან დაეხიაო“... როდესაც ლაპარაკი სოციალისტთა საპარლამენტო პოლიტიკის შესახებ ჩამოვარდა, ბებელმა სთქვაო: „ჩვენ პროექტები იმიტომ არ შეგვაქვს პარლამენტში, რომ დარწმუნებული ვარ, არ მიიღებენ და უარ-ჰყოფენ. მაგრამ მთავრობას-კი შესაწყნარებელი წინადადება რომ შემოეტანა, ჩვენ დიდად ხელს მოვუმართავდით, რადგან იგი სასარგებლო იქნებოდა მუშათათვის და ჩვენის დასისათვისაო. «ახალგაზდანი» არიან მოურიგებელნი“. ბევრჯელ მითქვამს მუშათათვის ჩემს კონფერენციებში: იმ ქარხნების პატრონები, რომლებშიაც თქვენ ჰმუშაობთ, სხვაფრივ ვერ მოიქცევიან და სწორედ ისე უნდა მოიქცნენ, როგორც იქცევიან-მეთქი. საუკეთესო მათგანი დავასახელოთ მაგალითად: ვთქვათ, ყველაზედ კარგი ხელ-ფასი მოგცათ და უფრო ნაკლებადაც გამუშავათ. რა მოხდება? მისი საქონელი უფრო ძვირად ეღირება, ვიდრე სხვა მექარხნეებისა, ასე რომ ვერ გაჰყიდის და ექვსის თთვის შემდეგ გაკოტრებას იქნება იძულებული. მაშინ თქვენ თითონვე უფრო გაუბედურდებით, რადგან სამუშაო სულ აღარ გექნებათ და ცოლ-შვილიანად სიმშილით დაიხოცებით. ამიტომ ცვლილებათა შემოღება ჩვენი საგანი არ უნდა იყოს. ჩვენი საგანი ის არის, რომ საზოგადოდ და სრულიად გადასხვაფერდეს აწინდელი საეკონომიო პირობანიო“. დასასრულ ბებელმა შენიშნა, რომ ამ საუკუნის დამლევამდე მოხდება ეს საზოგადო და საერთო ცვლილებაო.

ამის გარდა ბებელმა განაცხადა‘ არა მჯერა, რომ ბრძოლა ჩქარა მოგვიხდეს, მაგრამ თუ მოგვიხდა, გერმანიის სოციალისტებიც მივიღებთ მონაწილეობასაო.

## წვრილი ამბავი

ქ. ჰამბურგის ექიმებს: რუბნერსა და გერნიკეს უცდიათ—გადაედება თუ არა ხოლერა კაცს თუთუნის შემწეობით და დარწმუნებულან, რომ ხოლერის ბაცილას თუთუნის კომლი ჰკლავსო და, მაშასადამე, შეუძლებელია თუთუნის შემწეობით ხოლერა გადაედოს კაცსაო.

— სკანდინავიის ორი შესანიშნავი მწერალი იბსენი და ბიორნსონი ჩქარა დაუმოყვრდებიან თურმე ერთმანერთს: იბსენის ერთად-ერთი შვილი, ექიმი სიგურდ იბსენი ჯვარს იწერს ბიორნონის ქალზედ. დიდის ამბით და აღტაცებით ეგებებიან სკანდინავის მწერალნი თავიანთის ორი დიდად შესანიშნავ მწერალთა დამოყვრებას.

— ჰავარდის უნივერსიტეტის ობსერვატორიის დირექტორი პიკერინგი სწერს, რომ 40 პატარა ტბა აღმოუჩენიან მარსზედ.

— 1873—1891 წ. განმავალობაში ავსტრი-ვენგრიის ჯარში 5,868 კაცს თავი მოუკლავს. წელიწადში 323 კაცს და 100,000 კაცის თავზედ 133 კაცს. უფრო მეტი პრაღას ჯარში მოუკლავთ თავი. 1,999 კაცს იმიტომ მოუკლავს თავი, რომ სასჯელისა შეშინებიათ, 587-ს—სამსახურის სიძულილისა გამო, 259—შეშლილობისა, 274 — თავმოყვარეობისა გამო, 247-ს სიცოცხლე მოჰბეზრებია, 266—სიყვარულის გამო და დანარჩენთა თავის მოკვლის მიზეზი-კი არ არის გამოკვლეული.

— 27 სექტემბერს ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკში დაიწყეს ქრისტეფორე კოლუმბის დღესასწაული; ყველა ეკკლესიებში წირვა გადაიხადეს 27—28-ს სექტემბერს. დიდის ამბით გამართეს ხელოვნებათა გამოფენა და მხატვრობის სკოლა. შემდეგ სამოქალაქო სასწავლებლების მოწაფეთაგან შემდგარმა პროცესიამ გაიარა მდიდრულად მორთულ ქუჩებში. ხალხი ბევრი მოგროვდა ამ შემთხვევის გამო ნიუ-იორკს. ამისთანა დღესასწაული და ამბავი დიდი ხანია ამერიკას არ უნახავსო, იწერებიან. პროცესიას წინ უძღოდნენ შეერთებულ შტატების ვიცე-პრეზიდენტი და გუბერნატორი ნიუ-იორკისა. განსაკუთრებულის ყურადღების ღირსი იყო დიდებულად მორთული ტრიბუნები, რომელზედაც მოსხდნენ მდიდრულად ჩაცმულ ახალგაზდა ქალთა სურათები.

— ერთს ინგლისელს მკურნალს გამოუკვლევია რომ მუშა ხალხის ცოლებს ახლად დაბადებული ყმაწვილები მრავლად ეხოცებათო: ათასში 195 ყმაწვილი უკვდებათო.

## დეპეშა

10 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგში ხოლერა საკმაოდ მინელდა. 8 ოქტომბერს ავად გახდა 4, მორჩა 16, გარდ. 2 და 9 ოქტომბრისათვის საავადმყოფოში სულ 71-ღა იყო.

„Бирж. Вѣд.“-ის გაუგონია, რომ გერმანიის მიერ წინა დადებული პირობანი რუსეთსა და გერმანიას შორის სავაჭრო მორიგებისა ამ ნოემბრის დამდეგს იქნება განხილული, როდესაც პეტერბურგში დაბრუნდებიან ამ საგნისათვის შემდგარ კომისიის უმთავრესნი მოხელენიო.

„Новое Время“ ამბობს, რომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შევიტყეთ, პეტერბურგში ამ შემოდგომის დამლევს დაიწყებს მოქმედებას ებრაელთა გარდასახლების მთავარი კომიტეტიო.

გუშინ, ოსტროვსკის კომედიის „ხუმარანი“-ს წარმოდგენაზედ, რომლის აღსრულების დროს, გარდაიცვალა არტისტი სვობოდინი.

**პარიში.** დღეს პრეზიდენტ კარნოსთან დარბაზად იყვნენ დიდნი მთავარნი ვლადიმირ და ალექსი ალექსანდრეს ძენი და კარნომაც მაშინვე გადაუხადა დარბაზობა.

**სტამბოლი.** მაკედონიის მონასტერში მყოფ ბერძენთა ლიცეის დირექტორი დაპატიმრებულია და ის ბრალი ედება, რომ მეამბოხეთა კომიტეტის შედგენას იყო განზრახული და დამოკიდებულება ჰქონდა კანდიოტის კომიტეტებთანაო. დირექტორის სადგომში იპოვნეს მისის ბრალის დამამტკიცებელი საბუთები და სულთანს გაუგზავნეს.

**ვენა.** დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ გუშინ საღამოს ვენაზედ გაიარა და ფლორენციისკენ გაემართა.

**ლონდონი** „Times“-ს დეპეშით აუწყებენ სიმლადგან, რომ ინდოეთში მოიტანეს 33,000 მაღაზინის თოფი და 320 მილიონი გულა, რის გამოც ყველა პენჯაბსა და ბელუჯისტანს დაბანაკებულს ბრიტანიის ქვეითა ჯარს რამდენსამე კვირის შემდეგ ახალი იარაღი დაურიგდებაო.

**ჩიკაგო.** გამოფენის შენობის დიდის დღესასწაულით კურთხევის ცერემონია განთიადისას დაიწყო ზარბაზნების სროლით, რის შემდეგაც ქალაქი მოიარა დიდმა პროცესიამ. ცერემონია გამართულ იქმნა ამერიკის ხელოვნებათა დარბაზში ყოველის ერის წარმომადგენელთა თანადასწრებით. პრეზიდენტის მაგიერად, რომელიც ცოლის ავადმყოფობის გამო ამ ამბავს ვერ დაესწრო, ვიცე-პრეზიდენტი მორტონი იყო. ცერეცერემონიამ საუცხოოდ ჩაიარა.

**ჰამბურგი.** დღეს დილიდგან იწვის საწყობები ჰამბურგ-ამერიკის გემ-ხომალდის საზოგადოებისა. ზარალი ერთ მილიონზედ მეტი იქნება. 500 კაცზედ მეტი უსამუშაოდ და უსაქმოდ დარჩა. ჰამბურგის ბრანტ-დირექტორი მძიმედ არის დაშავებული.

11 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ წინანდელ სახის ქაღალდის ფულის ახალის სახის ქაღალდის ფულზედ შეცვლის ვადა 1893 წლის 1 იანვარს დგება; ამ ვადის გასვლის შემდეგ წინანდელის სახის ქაღალდის ფულს ხაზინა აღარ მიიღებს და არც კერძო კაცთა სახმარებლად იქნება სავალდებულო. ამ ვადისათვის შეცვლილ უნდა იქმნას ის ოც-და-ხუთ მანეთიანები, რომელზედაც მეფის ალექსი მიხეილის ძის სურათია; ის თუმნიანები, რომელზედაც მეფის მიხეილის თევდორეს ძის სურათია, და 5 მანეთიანები, რომელზედაც დიდის მთავარის დიმიტრი დონელის სურათია, აგრეთვე თეთრი ოც-და-ხუთ მანათიანები და ის ძველი 3 და 1 მანეთიანები, რომლებსაც გამოცემის წელიწადი უკანა მხრის შუა ადგილასა აქვთ აღნიშნული.

„Гражданинъ“-ი ამბობს, რომ, ვიდრე საკანონ-მდებლო წესით დამტკიცებული იქმნება ფაბრიკებისა და ქარხნების განაწილების საქმე, დადგენილ იქმნა: სასანიტარო მხრივ მავნებელი ფაბრიკები და ქარხნები, რომელიც დაბა-სოფლებშია გამართული, იმავე საფუძველით გაუქმდეს, როგორც ქალაქებშია ეს წესად დადებულიო.

„Петерб. Вѣд.“-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოში შეტანილია პროექტი იმის დებულებისა, რომ სასტიკი სასჯელი დაედოს საზოგადო ჯან-მრთელობისა და ჰიგიენის წინააღმდეგ დანაშაულობათაო.

**ხაბაროვკა.** იმედი აქვთ, რომ უსურიის რკინის გზა ვლადივოსტოკიდგან გრაფის სადგურამდე დამთავრებული იქმნება 1894 წლამდეო.

**სან-პერატი.** სარდინია. ქარტეხილის დროს 100-მდე კაცი გარდაიცვალა, 300-სახლი დაინგრა და მათ შორის ქალაქის საბჭოს შენობაც.

**პარიში.** დღეს დიდნი მთავარნი ნადირობენ შანტილიაში ჰერცოგ ომალიისასთან. დოქტორის გიუიონის მიერ გაკეთებულმა ოპერაციამ კარგად ჩაიარა; რუსეთის ელჩი თავადი ლობანოვი ერთის კვირის შემდეგ გარედ გამოსვლას შეიძლებს.

12 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ბიუჯეტიდგანა სჩანს, რომ 1891 წლის სახელმწიფო გასავალი 180,977,164 მანათით აღემატებაო. ეს გადამეტებული ხარჯი დაფარული იქნება სახელმწიფო ხაზინის თავისუფალ ფულიდგან.

ხმა დადის, რომ სახელმწიფო საბჭო ამ მოკლე ხანში განიხილავს პროექტს შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის დასახლების შესახებაო. განზრახვა აქვთ ამ ადგილას მებაღობისა და მებოსტნობის მცოდნე რუსები დაასახლონ.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ოქტომ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,01 | 8,04 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 160 | 161 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 238 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 218 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 191³/₄ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀ . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀ . | „ | — „ | — „ |
| 5°/₀ . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — , |

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიძლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან. დღისით,

ფოთიდგ გადისან:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 6 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „

# განცხადებანი

ქალაქის გამგეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ იმისსავე სადგომში, 5 ნოემბერს 1892 წელს, შუადღის 12 საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა ვერის ხიდის შემოსავლის იჯარით გასაცემად 1 იანვრიდგან 1893 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (4—4)

**საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან**

აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა და სხ. პატრონთ, რომ, საზოგადოების წესდების § 30 ძალით, ამ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება საკუთრად ვენახებისა, ბაღებისა და სხ. დაზღვევისათვის სეტყვისაგან. ამ განყოფილების მოქმედება დაიწყება მხოლოდ მაშინ, როცა მსურველნი დაზღვევისა იქმნებიან იმდენი, რომ მათის დასაზღვევის მამულების საზღაური 500,000 მან. იქნება.

სურვილი თვისი უნდა გამოუცხადონ საზოგადოების სააგენტოს დილის 9—12 საათამდე, ხოლო მერმისს პირველ იანვრიდგან დილის 9—3 საათამდე. (აბას-აბათის მოედანი, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, საკუთარი სახლი). იქვე შეიძლება მიიღოს მსურველმა შემდეგი წიგნები:

Страхованіе отъ градобитія.

Краткій очеркъ развитія этой отрасли обезпеченія въ Германіи и Россіи.

Сборникъ свѣденій для опредѣленія убытковъ, причиняемыхъ культурнымъ растеніямъ градобитіями и др. атмосферическими вліяніями, а также насѣкомыми и болѣзнями.

Составилъ В. А. Таргонскій

სააგენტოს გამგე დ. ქ. თუთაევი.

1893 წლის 1 იანვრიდგან არსდება ტფილისში

# „უნივერსალი სააგენტო“

დ. ქ. თუთაევისა

აბას-აბათის მოედანზედ, მელიქ-ნუბაროვის აფთიაქის გვერდზედ, დილის 9—3 საათამდე.

საქმე სააგენტოსი:

I რიგისა

დაზღვევა სიცოცხლისა ყოველ იმ წესით, რა წესითაც-კი შესაძლოა.

დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

დაზღვევა ჭირნახულისა და ვენახებისა სეტყვისაგან.

გასყიდვა 5-°/₀-იან მომგების ბილეთებისა I და II სესხისა და სახელმწიფო სათავად-აზნაურო მომგებიან გირავნობის ფურცელთა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით და ხელ-მოსაცემ პირობით.

დაზღვევა მომგებიან ბილეთებისა გაბათილებისაგან უზრუნველ-ყოფისათვის, თითო ბილეთისა 60 კაპეიკად.

II რიგისა

შედგენა ხარჯთ-აღრიცხვათა და გეგმებისა შენობათა ასაგებად. (სააგენტოს ჰყავს საკუთარი ხუროთ-მოძღვარი-არხიტექტორი).

შესრულება ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ყველა საქმისა, რომელიც-კი შეეხება მთავრობისა და სხვა კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე კომერციის და სხ.

სააგენტო ტვირთულობს სოფლისა და ქალაქის მამულების დაგირავებას ტფილისის სათავად-აზნაურო და სახელმწიფო ბანკში და აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებაში.

რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული **1.000,000** მან.)

პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, 27

ისყიდება 5°/₀-იანი მომგებიანი ბილეთები I და II სესხისა და გირავნობის ფურცელნი სახელმწ. საადგილ-მამულო ბანკისა ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდით.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი 10°/₀ იმისი, რაც ბილეთი ჰღირს ბირჟაზედ (არა ნაკლებ 15 მან.). ყოველ თთვე-და-თთვე უნდა გადახდილ იქმნას იმდენი, რამდენსაც თვით მყიდველი ისურვებს (არა ნაკლებ 5 მან.)

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა გაბათილებისაგან ჰღირს 60 კაპ.

აგენტი დ. ქ. თუთაევი

(20—5)

# საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ვ. მანუჩარიანცს, ტფილისს. (24—80—19)

Дозв. ценз. Тифлисъ, 11-го Октября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.